ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 5

15 იანვარი

"---"---------- 2016 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, მოსაშვილის ქუჩა №26-ის მიმდებარედ 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.14.11.022.013) პირდაპირი განკარგვის ფორმით მოქ. ალექსანდრე ნორაკიძისთვის (პ/ნ №01024034976) იჯარით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122^1 მუხლის მე-6 პუნქტის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის" მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №52.39.1531 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, მოსაშვილის ქუჩა №26-ის მიმდებარედ 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.14.11.022.013) პირდაპირი განკარგვის ფორმით მოქ. ალექსანდრე ნორაკიძისთვის (პ/ნ №01024034976) იჯარით გადაცემაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით გათვალისწინებული საიჯარო პირობებით.

2. ყოველწლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 2400 (ორიათას ოთხასი) ლარის ოდენობით.

3. იჯარის მოქმედება განისაზღვროს 5 წლის ვადით.

4. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი